



საინფორმაციო ბიულეტენი

2015 წლის 2 აპრილის გამოცემა



ბარაქიანი მოსავალი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები:

706 დაფუძნდა, 700-ს ჩაუტარდა ტრენინგი ბიზნესის ორგანიზებაში, 50-მა მიიღო გრანტი გრანტების პირველი რაუნდის ფარგლებში



ფერმერთა დახმარება:

100,000-მა გაიარა კონსულტაცია, დაარსდა 52 საინფორმაციო ცენტრი, მოეწყო 10 სადემონსტრაციო ნაკვეთი



ინსტიტუციების ტრენინგი:

სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაარსდა პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამსახური, ტრენინგი ჩაუტარდა 400-ზე მეტ თანამშრომელს, გამოქვეყნდა 20-ზე მეტი კვლევა



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები:



პირველი ნაბიჯები ერთობლივად მუშაობაში

სულ რამდენიმე წლის წინ სიტყვა „კოოპერატივი“ ქართველი ფერმერებისთვის ცუდად ჟღერდა, რადგან საბჭოთა კავშირში კოლექტიური ფერმერობის ძალზე არაპოპულარულ ფორმას - „კოლმეურნეობას“ ახსენებდა. მაგრამ 2014 წლის ბოლოსთვის პროგრამა ENPARD-ის ხელმძღვანელობისა და დახმარების წყალობით, ბევრმა სწორედ ამ ფერმერებიდან გემო გაუგო ერთად მუშაობას საერთო მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად.

ENPARD-ის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით ორგანიზებულმა გასაცნობმა შეხვედრებმა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებთან და ღონისძიებებმა 70,000-ზე მეტი ადამიანი მიიზიდეს სოფლებიდან. ეს ადამიანები მივიდნენ შეხვედრებზე, რათა გაეგოთ მცირე ფერმერებს შორის ეფექტიანი კოოპერაციის უპირატესობებისა და პრინციპების შესახებ.



საერთო მიზნებისა და კოოპერაციის მიერ მოტანილი სხვადასხვა სარგებელი

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით გამართულ სხვადასხვა შეხვედრაში (რომელთაგან ბევრზე ჩვენს [წინა საინფორმაციო ბიულეტენში](#) გიამბოთ) მონაწილეობის შემდეგ 3,500-ზე მეტმა ქართველმა მცირე ფერმერმა შექმნა 550 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც გაიღებენ რესურსებს, დროსა და ძალისხმევას საერთო მიზნის - გაუმჯობესებული წარმოების, დამუშავებისა და მარკეტინგის პროცედურების დანერგვის - მისაღწევად. მერჩევის ერთწლიანი პროცესის შემდეგ 50-მა ამ კოოპერატივიდან მიიღო გრანტები პროგრამა ENPARD-ისგან და კიდევ ბევრი მიიღებს 2015 წელს: მონაწილეთა რაოდენობა, სავარაუდოდ, გასამმაგდება. მოსალოდნელია, რომ გრანტები ხელს შეუწყობს კოოპერატივის წევრთათვის რენტაბელურობის 75%-იან და რეალიზაციის 20%-იან ზრდას. ასევე მოსალოდნელია, რომ კოოპერატივის წევრთა დაახლოებით 80% გავა ახალ რეგიონულ, სახელმწიფო თუ საერთაშორისო ბაზრებზე და



დაარსდა თითქმის 500 კოოპერატივი, რამაც საქართველოს ფერმერული საქმიანობა ახალ საფეხურზე გადაიყვანა

ამის შედეგად საქართველოში ფერმერული საქმიანობისთვის ახალი სტანდარტები დაწესდება და ფერმერობა ახალ საფეხურზე გადავა. მოსალოდნელია, რომ პირველი შედეგები იმ კოოპერატივთა ნაწილისთვის, რომელთაც

გრანტი მოიპოვეს (როგორც არის, მაგალითად, მეფუტკრეობით, რძის ნაწარმისა და ყველის წარმოებით დაკავებული კოოპერატივები), 2015 წლის შემოდგომაზე დადგება, დანარჩენებისთვის კი 2016 წლის ზამთარში (მაგალითად, იმ კოოპერატივებისთვის, რომლებიც აწარმოებენ ღვინოს, აქვთ სასათბურე მეურნეობები და მეფრინველეობის ფერმები).

ENPARD-ის გრანტების მოსალოდნელი შედეგები:



ფერმერთა დახმარება:

მომავლის შენება
ცოდნის გაღრმავებისა
და საფუძვლიანი
განათლების მეშვეობით

რესურსების გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზებისთვის კიდევ ერთი უდიდესი დაბრკოლება იყო სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის განვითარების თანამედროვე მიმართულებების ცოდნის არარსებობა. ამიტომ პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ფერმერთათვის ცოდნის მიწოდებაზე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სცილდება მათ საქმიანობაში საჭირო პრაქტიკულ უნარებს. ENPARD-ის დახმარებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამოაყალიბა 52 რაიონული სასოფლო-სამეურნეო და საინფორმაციო ცენტრი. ამ ცენტრებში 300 ექსპერტი უწევს ფერმერებს დახმარებას და კონსულტაციას. ENPARD-ის კონსორციუმების წევრებმა - OXFAM-მა და Mercy Corps-მა, ასევე გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP), ორგანიზაციებმა CARE და "People in Need" გამოაქვეყნეს სახელმძღვანელო და საინფორმაციო ბროშურები ფერმერთა კოოპერაციით მოტანილი უპირატესობებისა და სარგებლების შესახებ in three ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ტრენინგის მეცადინეობები და ახალი მიდგომების პრაქტიკული გამოყენება



პროგრამა ENPARD-ის კონსორციუმების წევრებმა ENPARD-ის გრანტების კონკურსში მონაწილე რამდენიმე ათას ფერმერს ჩაუტარეს სხვადასხვა დონის ტრენინგები სოფლის მეურნეობის სფეროში მარკეტინგისა და საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში, რაც დაეხმარება მათ საკუთარი ფერმებისა და პროდუქციის უკეთეს მართვასა და რეკლამირებაში. ამჟამად 20,000 ფერმერს ეწევა რეგულარული კონსულტაციები ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებულ აჭარის აგროსერვისცენტრში, ხოლო საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 1,000 წევრი დეზულობს ყოველკვირეულ კონსულტაციას ENPARD-ის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მეშვეობით.

ფერმერები საქართველოს მასშტაბით ასევე სწავლობენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და ახლებური მიდგომების დანერგვას თავიანთ ფერმერულ საქმიანობაში ENPARD-ის მიერ დაფინანსებული სადემონსტრაციო ნაკვეთების მზარდი ქსელის

მეშვეობით. გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP) უკვე შექმნა 20-ზე მეტი ასეთი სადემონსტრაციო ნაკვეთი აჭარაში და ახორციელებს პროექტებს მოცვის მოყვანაში, რძის პროდუქტების წარმოებასა და ჰიდროპონიკაში (მცენარეთა მოყვანის მეთოდი).

OXFAM-მა შეარჩია 13 ფერმერი და კონტრაქტები გაუფორმა მათ სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით; აღნიშნული პროექტები, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს უხვი მოსავლისთვის საჭირო საირიგაციო ტექნიკის და მარცვლეულის ძალზე სიცოცხლისუნარიანი ჯიშების შემოღებას. ორგანიზაციამ "People in Need" ასევე წამოიწყო გრანტებზე განაცხადების მიღების პროცესი სადემონსტრაციო ნაკვეთების შესაქმნელად და მას განზრახული აქვს, განახორციელოს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადემონსტრაციო ნაკვეთების რეაბილიტაცია.



300

ექსპერტი უწევს ფერმერებს კონსულტაციას 52 რაიონულ საინფორმაციო ცენტრში მთელ საქართველოში

20,000

-ზე მეტ ფერმერს ეწევა რეგულარული კონსულტაციები ბიზნესის დაკავშირებით ENPARD-ის მიერ დაფინანსებულ ცენტრებში

საქართველოში სორციელდება

20

-ზე მეტი პროექტი, რომელთა ფარგლებშიც ხდება სოფლის მეურნეობის თანამედროვე მეთოდების დემონსტრირება



ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება:

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება

ცალკეული ფერმერებისა და კოოპერატივებისთვის დახმარების გაწევა და მათი ცოდნის გაღრმავება მხოლოდ ნაწილია ENPARD-ის ძალისხმევით, რომელიც მიმართულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზებაზე. პროგრამის ფარგლებში ასევე დახმარება უწევს სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული ყველა ინსტიტუტის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს უკანასკნელ გამოცემაში მოცემულ დეტალურ ბიუჯეტში.

ENPARD-ის დაფინანსების მეშვეობით გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტებმა დახმარება გაუწიეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის კონცეფციის შემუშავებაში და ამ სტრატეგიის მომზადებაში. ამას მოჰყვა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიის განხორციელებას. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ ასევე წამოიწყო პროდუქტების ფასების განახლებადი ბაზის წარმოება, რომელიც დაეხმარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შეფასებასა და გაანალიზებაში და პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში.

კვლევები და თანამშრომელთა ტრენინგი ორგანიზების გაუმჯობესების მისაღწევად



ENPARD-მა ასევე დახმარება გაუწია გაერო-ს განვითარების პროგრამის რამდენიმე კვლევისა და პოლიტიკის სფეროში შესწავლის ჩატარებაში სოფლის მეურნეობის დარგის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. გარდა იმისა, რომ ეს კვლევები დაურიგდად სამთავრობო ორგანიზაციებს ფერმერული საქმიანობის პირობების გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებულ წინადადებებთან ერთად, ისინი გამოიყენება აჭარის სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებისათვის პოტენციური ინვესტორების ყურადღების მისაპყრობად. გრანტებზე კონკურსის ერთწლიანი პროცესის განმავლობაში ENPARD-ის კონსორციუმების ყველა წევრმა (OXFAM, PIN, Mercy Corps და Care) შეაგროვა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მონაცემები ფერმერთა შორის ჩატარებული გამოკითხვების მეშვეობით. მთელ ამ მონაცემებს OXFAM-მა თავი მოუყარა საქართველოს სოფლის მეურნეობის პირველ ანალიზში, რომელიც კვლევას ემყარება და რომელიც საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 400-ზე მეტ

თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი ახალ პროცედურებში, რომლებიც აუცილებელია მთავრობის ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის ჯგუფის წევრებმა გაიარეს კურსი მონაცემთა ანალიზში და სტატისტიკაში, რომელიც მიზნად ისახავდა მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების მოგროვებაში, დამუშავებასა და გაანალიზებაში. სამინისტროს სხვა თანამშრომლებსაც მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგის მოდულებში, რომლებიც ეხებოდა სანარმოო ჯაჭვების პრიორიტეზების, შემოსავლის განაწილების ანალიზს და დასაქმების განაწილებას.

მთლიანობაში 2014 წელი ძალზე დატვირთული წელი იყო ENPARD-ის გუნდისთვის და წლის მეორე ნახევარში პროექტის დასაწყისში წამოწყებულმა საქმეებმა შესანიშნავი შედეგები მოიტანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე ჩამოყალიბებულია ახალი კოოპერატივები და შემუშავებულია სხვადასხვა სტრატეგია და პოლიტიკა, საფუძველი აქვს ჩაყრილი ფერმერთა ცოდნის გაღრმავებას პრაქტიკულ საკითხებში და როგორც ფერმერებს შორის, ისე ქართულ პრესაში არსებობს დიდი ინტერესი საქართველოს ფერმერული საქმიანობის მოდერნიზების მიმართ, 2015 წელს პროგრამა ENPARD-ი მეტ შედეგს მოიტანს ფერმერული ინდუსტრიისთვის და ზოგადად საქართველოს ეკონომიკისთვის.



ტრენინგი
სოფლის მეურნეობის სამინისტროში 400-ზე მეტ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი ახალ პროცედურებში და სამთავრობო პოლიტიკაში.

დახმარება
პროგრამა ENPARD-ის დახმარებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეძლო დაესრულებინა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ჩამოყალიბებინა პოლიტიკაზე პასუხისმგებელი დანაყოფი, რომელიც შეასრულებს პლატფორმის როლს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახილველად.

ანალიზი
ENPARD-ის კონსორციუმის წევრებმა გამოაქვეყნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში პირველი კვლევაზე დამყარებული ანალიზი.

